



ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ (იანვარი - დეკემბერი 2023)

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2304	პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	8,655.00	8,655.00	8,566.8	98.98%	5,504.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა** - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2023 წლისათვის; ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ანგარიშგების დოკუმენტებში დაემატა კონკრეტული თარიღობრივი შუალედის ხარჯის დათვლის ფუნქციონალი; დაემატა ახალი ანგარიშების დოკუმენტი, რომელიც ყოველდამე ავტომატურად გენერირდება; შევიდა ცვლილებები ბიუჯეტების თავების რეპორტებში და პროგრამული ბიუჯეტის დანართის რეპორტში; რეალურ გარემოში ჩაეშვა ბიუჯეტის მომხმარებლების ვერიფიკაციის მექანიზმი როგორც ბიუჯეტის, ასევე სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების სისტემებისთვის; ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში დაკონფიგურირდა 2024 წლის სამუშაო პერიოდი; შევიდა ცვლილებები



საინვესტიციო პროექტების დამუშავების ნაწილში; დაემატა განმკარგავების და პროგრამული კოდების ახალი ტიპი, ასევე შევიდა სხვა აუცილებელი ცვლილებები განმკარგავების კონფიგურაციის ნაწილში; სისტემაში შევიდა 34 შესწორება და აღმოიფხვრა 47 ხარვეზი.

- eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა** - eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - დაემატა სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონალი, მიმღების საბანკო ანგარიშის შემოწმების პროცესის ბანკების ჭრილში ჩართვა/გამორთვის და მიღებული სტატუსის კოდის დამუშავების ფუნქციონალი; სსიპ-ს მოდულში დაემატა ახალი ოპერაცია- თანხის ბიუჯეტში გადატანა; დაიხვეწა პირველადი დოკუმენტების და მოთხოვნების CPV კოდების კონტროლის, მოთხოვნების მწვანე დერეფნის, თანამშრომლების მოდულის და უწყისის ფუნქციონალები; მხარჯავების პორტალს დაემატა ვალდებულებების, ტრანსფერებისა და არასახელფასო პაკეტების ვალიდაციები და თანამშრომლების დაშვებების რეპორტი; ბექ ოფის დაემატა საბიუჯეტო კოდების ადმინისტრირების საშუალება, ბიუჯეტების ბალანსის, ადგილობრივი ბიუჯეტების ბალანსის, საბიუჯეტო გადარიცხვების, ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელების, სსიპ-ების ხარჯების, სახაზინო კოდების, გადარიცხული საგადახდო მოთხოვნების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელებისა და შემოსავლების რეპორტები, ამასთან ერთად მოხდა არსებულ რეპორტებში სახელმწიფო საწარმოების მონაცემების შესაბამისი ლოგიკით დამატება; შეიცვალა განმკარგავების მართვისა და ღონისძიების ნაშთების ადმინისტრირების ფუნქციონალები; საფინანსო უწყების პორტალზე დაემატა ადგილობრივი ბიუჯეტის ტიპის სახელმწიფო საწარმოების მონაცემების დათვალიერების და დამუშავების საშუალებები სახელმწიფო საწარმოს დამფუძნებლის ბიუჯეტის შესაბამისად; ბუღალტერიის მოდულში მოხდა მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია, დაემატა ბუღალტრული ანგარიშების გადახურვის ფუნქციონალი, შეიცვალა სისტემურ ოპერაციებში დაფინანსების ანგარიშების გაყოფის ლოგიკა და ანგარიშგება „დანართი 1“; ჩარიცხვების სისტემას დაემატა SMS კოდით ავტორიზაციის საშუალება; ხაზინის ბუღალტრული გატარებების გარე სერვისის დაემატა ორგანიზაციების შემოსული თანხების ტრანზაქციების ჩატვირთვის მეთოდი. eTreasury სისტემის ოპტიმიზაციის ამოცანის ფარგლებში დასრულდა ორი იტერაცია, რომლის ფარგლებში მოხდა ფართიშენის უზრუნველყოფა და ვალდებულებების, ხელფასების, პაკეტების მოდულების არსებული კოდის რეფაქტორინგი.

- eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა** - სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - დაემატა ახალი ანგარიშგების დოკუმენტი - ხელმოწერილი პროექტები; აუქციონის შედეგების ფორმაზე დაემატა ახალი ველები; აუქციონის შედეგებისა და სახაზინო ემისიების ინტერფეისებში დაემატა ახალი ველები; არსებულ ანგარიშგების დოკუმენტებში შევიდა ცვლილებები პროექტების იდენტიფიცირების ნაწილში; დაკონფიგურირდა 2024 წლის სამუშაო პერიოდი; შევიდა ცვლილებები კომპონენტებისა და საინვესტიციო ცვლილებების ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში გაგზავნის სერვისში; დაოპტიმიზირდა და ინფორმაციულად დაიხვეწა საშინაო და საგარეო ვალის უმეტესობა რეპორტი; გაკეთდა 4 ახალი დავალება - პროექტებზე სფეროების დაბმის ფუნქციონალი; ცვლილების ცნობების კოპირების ფუნქციონალი; წლიური საბიუჯეტო ფაილის წინა პერიოდიდან იმპორტის ფუნქციონალი; კვარტალური საბიუჯეტო ფაილის დამატების ფუნქციონალი; სისტემაში შევიდა 198 შესწორება.





- **eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა** - დასრულდა eHRMS დასრულდა მუდღის სისტემასთან ინტეგრაციის ტექნიკური სამუშაოები სისტემის რეალურ გარემოში. სისტემას დაემატა ორი ახალი სტატიკური ანგარიშგება. მოთხოვნის შესაბამისად განახლდა და დაიხვეწა შეფასების მოდულთან დაკავშირებული ყველა ანგარიშგება. მიმდინარეობს სისტემაში შვებულებისა და დასწრების ტაბელის მოდულების განახლება, კერძოდ სისტემაში შვებულების ახალი ტიპის დამატება.

განხორციელდა შეფასების მოდულების ცალკეული კომპონენტების ოპტიმიზაცია, ასევე განხორციელდა სტრუქტურასთან მიმართებაში არსებული ლოგიკის ცვლილება. ახალი მოთხოვნების შესაბამისად სისტემაში განახლდა საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) მართვის ფუნქციონალი.

განხორციელდა დანიშნის და ანაზღაურების ფუნქციონალის ლოგიკის ცვლილება და სამუშაო გამოცდილების ფუნქციონალის ოპტიმიზაცია.

მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები.

- **eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა** - განისაზღვრა 2023 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები.

დასრულებულია 2021 წლის ლოგების ჟურნალების მონაცემების გასუფთავება და 2021 წლის ფაილების არქივაციის / NAS ([QNAP](#)) საცავში გადატანა.

განხორციელდა eDocument სისტემის 2022 წლის განმავლობაში დამატებული ფუნქციონალური ბლოკების აღრიცხვა და შეფასება.

დასრულებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით კონფიდენციალურ კორესპონდენციაზე კონფიდენციალურობის გრიფის დატანის ფუნქციონალის რეალიზაცია და დანერგვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, შესრულდა და დაინერგა eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის და Permits - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ელექტრონული სისტემის ინტეგრაცია.

დასრულდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით N 572 (2022.12.14) განსაზღვრული პირობების უზრუნველყოფის ამოცანების რეალიზაცია. დასრულდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სამინისტროს ქვეუწყებების გადაყვანა ახალი სტანდარტით შემუშავებულ ბლანკებზე.

დასრულებულია eDocument სისტემის საჯარო სივრცის პროექტის გადაწერა .NET Core 2.1 / Angular 6 - დან .NET 7 / Angular 16 - ზე.

დასრულებულია eDocument სისტემების განახლება მიმდინარე ვერსიამდე eDocument v5.11.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნით, შესრულდა კორესპონდენციასთან დაკავშირებით მოკლეთექსტური შეტყობინებების გაგზავნის ფუნქციონალის ამოცანის შესწავლა, რეალიზაცია და დანერგვა.

დასრულებულია სამი ორგანიზაციის დოკუმენტების გაცვლის სერვისში ჩართვა.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, დასრულებულია ლიცენზიებისა და ნებართვების გაფორმება/გაცემის პროცესის ავტომატიზაციის ამოცანის შესწავლა და რეალიზაცია.





საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნით, შესრულდა დოკუმენტების კვალიფიციური შტამპით დადასტურების ავტომატიზაციის ამოცანის შესწავლა და ტექნიკური დავალების დოკუმენტის შემუშავება, მიმდინარეობს ამოცანის რეალიზაცია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მოთხოვნით, მიმდინარეობს eDocument სისტემაში საკონსულტაციო წერილების მომზადების ამოცანის შესწავლა.

- **eAuction ელექტრონული აუქციონი** - ელექტრონული აუქციონის სისტემაში განხორციელდა 49 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 23 კომპონენტი. სისტემაში დაგენერირდა ერთჯერადი ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა.

სატესტო გარემოში განთავსდა Liberty ბანკის ელექტრონული სერვისის სრული განახლების სამუშაოები, ამ ეტაპზე მომხმარებელს გადახდის დროს არ უჩანს დამატებითი ბანკის საკომისიო, რომელიც ემატება გადასახდელ თანხას. ახალი პროტოკოლის შემთვევაში ამის შესაძლებელი იქნება მომხმარებელს ბარათის ტიპის მიხედვით დაუნგარიშდეს და გადახდის მომენტში დაინახოს სრულად გადასახდელი თანხა.

სატესტო გარემოში მოხდა JQuery პაკეტის განახლება 1.7.2 ვერსიისდან - 3.7.1 ვერსიამდე, ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრირების ფუნქციონალის ტესტირება.

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე სისტემას სატესტო გარემოში დაემატა ფუნქციონალური CAPTCHA, რომელიც განასხვავებს ადამიანს მომხმარებლებსა და ავტომატურ/კომპიუტერულ პროგრამებს ერთმანეთისგან. რათა არ მოხდეს ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არასანქცირებული მეილების გაგზავნა.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) ხუთი პროექტი.

მხარდაჭერა, ტრენინგი, სემინარი და კონსულტაცია

მომართვათა საერთო რაოდენობა - 41446

გაწეულია 38048 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument -16471, eTreasury - 20140, eHRMS - 180, სხვა სისტემები - 1257.

ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 3398 ტექნიკური გამოძახებას და გასწია შესაბამისი მომსახურება.

eTreasury სისტემის სასწავლო კურსი ჩაუტარდა ან სწავლებას გაეწია მხარდაჭერა 1530 მომხმარებელს.

- **ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა** დაინერგა ახალი თაობის ბრენდმაუერი (PALOALTO) განხორციელდა არსებული კონფიგურაციის გადატანა და შემდგომი ოპტიმიზაცია უსაფრთხოების ზომების შესაბამისად. განხორციელდა ბრენდმაუერის ინტეგრაცია „Active Directory (AD)“-სთან, დაკონფიგურირდა ახალი თაობის ბრენდმაუერის ინტერნეტ ტრაფიკის და კონტენტის ფილტრაციის წესები.





დაინერგა ახალი დაშვების ტურნიკეტების სისტემა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, გაიმართა ახალი სერვერები დაკონფიგურირდა კონტროლერები, დამიგრირდა მონაცემები არსებულიდან, განხორციელდა ახალი ორაკლის მონაცემთა ბაზა „Gateway“-ი ინსტალაცია, კონფიგურაცია. ინფორმაცია მიმოსვლის შესახებ დაინტეგრირდა ორაკლის მთავარ მონაცემთა ბაზაში.

განახლდა გარე მომხმარებლების ელექტრონული ფოსტის და აქტივ დირექტორიის სერვერები. განხორციელდა ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის განახლება ასევე დისკური მასივის Dell EMC XtremIO2 სისტემის პროგრამული კოდის განახლება.

შემოსავლების სამსახურის რეგიონებში SD-WAN ტექნოლოგიით დუბლირებული კავშირის უზრუნველყოფა სათაო ოფისებთან, ახალი როუტერების ინსტალაცია კონფიგურაცია მიგრაცია. SICPA-ს აქციზური მარკების პროექტის ფარგლებში ახალი ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა ინსტალაცია.

ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის პროგრამული განახლება.

განახლდა Microsoft Exchange ელ_ფოსტის ძირითადი სისტემები.

განხორციელდა hr.gov.ge და edms.ge სისტემების მონაცემთა ბაზების მიგრაცია ახალ სერვერებზე.

განხორციელდა Dell EMC VxRail ჰიპერკონვერგენტული სისტემის ინსტალაცია.

განხორციელდა Dell EMC VxRail ჰიპერკონვერგენტული სერვერების ახალ ქსელურ ინფრასტრუქტურაზე მიგრაცია.

განხორციელდა ქსელური კომუტატორების (Juniper) ინსტალაცია კონფიგურაცია.

eAIMS - საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა

სისტემაში დღეის მდგომარეობით აღრიცხულია სულ 3357 პროექტი, აქედან 308 მიმდინარე პროექტია. მიმდინარეობს საიტის განვითარება და გაუმჯობესება.

eVIMS - ავტომანქანების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა

სისტემაში ავტომანქანების რაოდენობა სულ შეადგენს 1435 ერთეულ ავტომანქანას, ავტომანქანების სისტემა მოიცავს ხელშეკრულებებს, შესრულებულ სამუშაო აქტებს, საწვავის ხარჯებს, პარკირების ხარჯებს, შშს მომსახურების სააგენტოში გაწეულ ხარჯებს, გადაზიდვის და ტექნიკური დათვალიერების ხარჯებს, ავტო-საგზაო შემთხვევებს, ავტომანქანების ინვენტარიზაციას, ავტომანქანებზე პასუხისმგებელი პირების აღრიცხვა-მართვას და სხვა.

სისტემის განვითარების მიზნით ჩატარდა სამუშაოები, რომელიც მოიცავს ფორმების გაუმჯობესებას და ახალი ფუნქციონალის დამატებას შემდეგ წერტილებში — მრავალწლიანი ხელშეკრულებების ფუნქციონალის დამატება, შეტყობინებების დათვალიერება, მანქანის ბარათზე დაემატა ჩანართი გვერდები ხაჯების მიხედვით, დაემატა ავტომანქანების ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის ისტორიის ნახვა, დაემატა ავტომანქანების საბურავების გამოცვლა და გამოცვლილი საბურავების ისტორიის ნახვა და სხვა.

სისტემის ახალი ფუნქციონალი შემოწმდა სატესტო გარემოში, სისტემის ტესტირების შედეგად, მას შემდეგ რაც აღმოჩენილი ხარვეზები გასწორდა, განახლდა პროდაქშენ გარემო. მიმდინარეობს სისტემის მხარდაჭერა.





ადამიანური რესურსების მართვა

საანგარიშო პერიოდში სამტატო თანამდებობაზე დაინიშნა 6(ექვსი) პირი, ხოლო შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 37 (ოცდაჩვიდმეტი) პირს.

eTRMMS - მერქნული რესურსების მართვისა და მონიტორინგის სისტემა

BY - „საქმიანი ეზოს“ მოდულისთვის:

- შეიქმნა ანგარიშგება „დახარისხების ინფორმაცია“;
- შეიქმნა ანგარიშგება „საქმიანი ეზოს რესურსი“;
- რეალიზდა 4 ცვლილება;
- ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესის ცვლილების შესაბამისად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მოთხოვნილ იქნა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის „საქმიანი ეზოს“ მოდულში არსებული რამოდენიმე მოდულის ანგარიშგების მოდიფიცირება, ხე-ტყის ნაშთების ინფორმაციის შესაბამის ფორმატში ამოღებისა და მიწოდების მიზნით. ჩატარდა შესაბამისი ანალიტიკური სამუშაოები და სისტემაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები - მოდიფიცირდა რამდენიმე ანგარიშგება და მოდული.

2. ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა:

- მიმდინარეობს ახალ ტექნოლოგიებზე გადაწერილი მოდულების, ტყეკაფისა და წარმოშობის დოკუმენტების ტესტირებისა და ვერსიის სტაბილიზაციის პროცესი.

3. სერვისები:

- ტყეკაფის სერვისი: დაემატა 4 ახალი მეთოდი შესაბამისი კლასიფიკატორების მიწოდების მიზნით. ამავე სერვისში განხორციელდა 4 მოთხოვნილი ცვლილება.
- ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესის ცვლილების შესაბამისად, შექმნა შემოსავლების სამსახურის ხე-ტყის აღრიცხვის პროექტისათვის სერვისი. გაშვებულია რეალურ გარემოში.
- ამავე ცვლილებიდან გამომდინარე, შემუშავდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც მოიცავს ცვლილებებს სისტემაში, ბაზის სტრუქტურაში. აღნიშნული პაკეტი რეალიზდა სისტემაში. (16 ცვლილება).
- შეიქმნა Windows Service, შემოსავლების სამსახურისათვის ელექტრონული წარმოშობის დოკუმენტებისა და სახერხის ცნობების ავტომაური მიწოდების ფუნქციით.
- შემუშავდა ცვლილებები, რომელიც მოიცავს სისტემის და ბაზის სტრუქტურას. დასრულდა კოდინგის და ტესტირების სამუშაოები აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით.





- Windows Service განვითარების მიზნით შემუშავდა დამატებითი ფუნქციონალი, რომელიც მოიცავს ელექტრონული წარმოშობის დოკუმენტების და სახერხის ცნობების სტატუსების ავტომატურ მიწოდებას შემოსავლების სამსახურისთვის - რეალიზებულია სისტემაში.

4. eOrigin:

- შეიქმნა ელექტრონული წარმოშობის დოკუმენტის (eOrigin) აპლიკაციის განახლებული ტექნიკური დავალება.
- მომზადდა ახალი ტექნიკური დავალების მოთხოვნების შესაბამისი ცვლილებების პაკეტი აპლიკაციისთვის.

EIA (PERMITS) - გარემოსდაცვითი შეფასების სისტემა

- გარემოსდაცვითი შეფასების სისტემისა და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა eDocument-ის ინტეგრაციის სერვისის საჭიროებიდან გამომდინარე, შემუშავდა და განხორციელდა ცვლილებების პაკეტი როგორც დოკუმენტბრუნვის, ასევე EIA სისტემაში. განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები და შეიქმნა შესაბამისი სერვისი. დასრულდა აღნიშნული სისტემების ინტეგრაცია. განახლდა ორივე სისტემა, ფუნქციონალი გადატანილია/გაშვებულია რეალურ გარემოში.
- დასრულდა ვადების კონტროლის მოდულის ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოდულების რეალიზება სისტემაში.
- მიმდინარეობს აღნიშნული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული Windows Service შექმნა, ვადების განახლებისა და Inbox შეტყობინებების ავტომატური დაგზავნის ფუნქციით.
- დასრულდა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მოდულის (საჯარო განხილვების) რეალიზება. შეიქმნა სისტემაში შესაბამისი მოდულები. ასევე, შეიქმნა სერვისი ei.gov.ge პორტალზე მონაცემების გამოქვეყნების მიზნით.
- გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის და პორტალის განვითარებისთვის შემუშავდა და განხორციელდა ცვლილებები (7 მოთხოვნა).

eRMS - მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემა

1. მხარდაჭერის და განვითარების კუთხით 2 მოთხოვნა რეალიზდა და აისახა სისტემაში, კერძოდ, სსიპ შემოსავლების სამსახურის სისტემასთან არსებულ სერვისში განხორციელდა ცვლილება არაკვოტირებული ნივთიერებების ნებართვების მიწოდების მიზნით.
2. შემუშავდა ნებართვის გაუქმების პროცედურა. შეიქმნა შესაბამისი ჯობი და ფორმა.
3. განვითარების კუთხით 14 მოთხოვნა რეალიზდა და აისახა სისტემაში.
4. მიმდინარეობს რეციკლირების მოდულის განვითარების მიზნით შემუშავებული მოთხოვნების რეალიზება სისტემაში.





5. შემუშავდა ახალი ფორმა 3 კვ-ზე ნაკლები მოწყობილობის მფლობელებისთვის, რომელიც რეალიზდა სისტემაში.
6. განვითარების კუთხით 11 მოთხოვნა რეალიზდა და აისახა სისტემაში.
7. შემუშავდა სისტემის მომხმარებლებისათვის ვიდეო ინსტრუქცია (3 ვიდეო).

Inspection - ინსპექტირების მართვის სისტემა

1. დასრულდა მოდულის ტესტირება და ბაგების აღმოფხვრა.
2. „ბაზა ინსპექტორში“ არსებული მონაცემების EIMS სისტემაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობს არსებული ბაზის სტრუქტურის შესწავლა/ანალიზი.

FIMS - ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი მართვის გეგმის სისტემა:

1. სისტემის განვითარების და ცვლილების შესახებ მიღებულია 98 მოთხოვნა, რომელთაგან ყველა რეალიზებულია.
2. შეიქმნა შეიკ-ფაილების განახლების ფუნქციონალი.
3. სტაბილიზაციის ფარგლებში რეგისტრირდა 110 ბაგი, აღმოფხვრა 103 ბაგი.
4. შემუშავდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც მოიცავს „ტყის მართვის გეგმის“ ანგარიშგების ოპტიმიზაციას, მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

eAir - სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა:

4226 ობიექტმა წარმოადგინა სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიშგება 2022 წლისთვის.

eWater - წყალსარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვის სისტემა:

980 ობიექტმა წარმოადგინა წყალსარგებლობის წლიური ანგარიშგება 2022 წლისთვის;

მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში:

- სულ მიღებული და დამუშავებულია: 583 Issue;
- სულ მიღებული და აღმოფხვრილია: 78 Hotfix;
- სტაბილიზაციის ფარგლებში რეგისტრირებული და აღმოფხვრილია: 215 ბაგი;





- რეალიზებულია 152 დავალება.

EGMC

საანგარიშო პერიოდში:

- სულ მიღებული და დამუშავებულია: 2 Issue;
- სულ მიღებული და აღმოფხვრილია: 2 Hotfix;

ვებგვერდი, პორტალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების რეესტრები

2019 წელს ძალაში შევიდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის მიზნებისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ ანგარიშვალდებულ პირებს წარმოადგენდნენ სერტიფიცირებული ბუღალტერი, იურიდიული პირი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი, ასევე აუდიტორი და აუდიტორული (აუდიტური) ფირმა. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან საქართველოს შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი - Moneyval. მეხუთე რაუნდის შეფასების ფარგლებში Moneyval-მა საქართველოში არსებული მდგომარეობის ერთ-ერთ ნაკლოვანებად გამოავლინა AML/CFT (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის) რეგულირებისა და ზედამხედველობის არარსებობა არასერტიფიცირებული ბუღალტრებისთვის და გასცა რეკომენდაცია სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებულ პირთა წრის გაფართოების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე სამსახურს დაევალა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების რეესტრების ელექტრონული ფორმით წარმოება, რომლითაც შესაძლებელი გახდება ბუღალტრული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა იდენტიფიკაცია, რაც წარმოადგენს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის წინაპირობას.

2023 წლის პირველი კვარტალში შეიქმნა ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების რეგისტრაციის პროცესი და მართვის პანელი.

2023 წლის მეორე კვარტალში შეიქმნა:



პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის სისტემა <https://saras.gov.ge/aml/> ;

საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის სისტემა <https://saras.gov.ge/amlfirms/> ;

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრების მართვის პანელი <https://saras.gov.ge/amladmin> ;

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების რეესტრი (გასაჯაროებული მონაცემები) <https://saras.gov.ge/ka/Aml> ;

საბუღალტრო ფირმების რეესტრი (გასაჯაროებული მონაცემები) <https://saras.gov.ge/ka/AmlFirms>

მესამე კვარტალში დაემატა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების რეგისტრაციის ბრძანებების გენერაციის მოდული. მიმდინარეობს მუშაობა ბრძანებების ციფრული ხელმოწერის მოდულზე.

ამუშავების დღიდან სისტემაში დარეგისტრირდა 422 ბუღალტერი და 327 ფირმა. მათგან რეესტრებში გასაჯაროვდა ინფორმაცია 308 ბუღალტრის და 268 ფირმის შესახებ.

ანგარიშგების მართვის სისტემა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის <https://rms.reportal.ge>

2023 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებდა ანგარიშგების მართვის სისტემის და მისი მომხმარებლების ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას.

2023 წლის მეორე კვარტალში შეიქმნა ანგარიშგების მართვის სისტემის მართვის პანელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისთვის. მართვის პანელიდან შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ წვდომა მხოლოდ ანგარიშგების საძიებო გვერდზე და კონკრეტული ანგარიშგების ციფრულ ფორმებზე იქ არსებული მონაცემების MS Excel -ში ჩამოტვირთვის შესაძლებლობით.

2023 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა ბრძანების გენერაციის მოდულის და ბრძანებების შაბლონების სრული განახლება (პროგრამული კოდის შესაბამისი განახლებით).

მართვის პანელში დაემატა ახალი რეპორტი;

2023 წლის მეოთხე კვარტალში ცვლილება შევიდა საწარმოს კატეგორიის განსაზღვრის პროგრამულ კოდში.

2023 წელს სისტემის ფარგლებში:

სამსახურში გადაიგზავნა 79460 ანგარიშგება;

გასაჯაროვდა 79034 ანგარიშგება;

დაგენერირდა 3632 ბრძანება (აქტი).





ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მომხმარებლებთან მიმოწერის სისტემა (SARAS MS)

სისტემის საშუალებით მომხმარებლებს შეუძლიათ ავტომატურ ან მიმოწერის რეჟიმში მიიღონ პასუხი სამსახურიდან მათთვის საინტერესო საკითხებზე. სისტემას აქვს მართვის პანელი, სადაც აისახება მომხმარებლის მიერ თემების მიხედვით დასმული კითხვები და სამსახურის თანამშრომლების მიერ გაცემული პასუხები.

2023 წლის დასაწყისიდან სისტემაში შემოსულია 3370 -მდე წერილი.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი 2023 წლის განმავლობაში ახორციელებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ზემოთ ჩამოთვლილი სისტემების უწყვეტ ტექნიკურ მხარდაჭერას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების აპლიკანტთა რეგისტრაციის და შეფასების სისტემა

<https://mobility.tsu.ge> <https://mobility.tsu.ge/admin> <https://mobility.tsu.ge/eval>

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს აპლიკანტთა რეგისტრაციის და შეფასების სისტემის ტექნიკურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას.

2023 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა მართვის პანელის პროგრამული კოდის განახლება:

- აპლიკანტების სორტირების დამატება ქულების ან ანბანის მიხედვით;
- საკონკურსო პროგრამების სიის სორტირება ანბანის მიხედვით;
- ქულების ინდიკაცია;

2023 წლის მესამე კვარტალში ცვლილებები შევიდა აპლიკანტის და მართვის პანელის პროგრამულ კოდში, შედეგად დაემატა ახალი ფუნქციონალი.

მართვის პანელში:

- სტატისტიკის გვერდზე მონაცემების სორტირება აპლიკანტის საფეხურისა და წლების მიხედვით;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კონკურსებზე საექსპორტო ფაილში დამატებით საკონტაქტო ელ. ფოსტების სვეტის გენერაცია.

აპლიკანტის გვერდზე:

- GPA -ს შესატანი ველი;
- პირადი მონაცემების ცვლილების საშუალება;
- უნივერსიტეტების ჩამოსაშლელი სიიდან არჩევა;
- შეფასების გვერდის დამატება, სადაც აპლიკანტს შეუძლია შეჯამებული შეფასებების ნახვა.

2023 წლის მეოთხე კვარტალში განახლდა რეკომენდატორის ჩანართი.

2023 წელს სისტემაში დარეგისტრირდა 782 ახალი მომხმარებელი, გამოცხადდა 99 კონკურსი, რომლებზეც ჯამურად დარეგისტრირდა 2283 აპლიკანტი.





მუდმივად ხორციელდება სისტემის მომხმარებელთა კონსულტირება ტექ მხარდაჭერის ელ. ფოსტის საშუალებით.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სააპლიკაციო სისტემა

<https://app.iec.gov.ge/> <https://app.iec.gov.ge/admin> <https://app.iec.gov.ge/eval>

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს სააპლიკაციო სისტემის ტექნიკურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას კონკურსების პერიოდში. 2023 წლის განმავლობაში სააპლიკაციო სისტემის ფარგლებში ჩატარდა 11 კონკურსი.

წელს სააპლიკაციო სისტემაში დარეგისტრირდა 1970 ახალი მომხმარებელი, შეიქმნა 2800 -მდე საკონკურსო აპლიკაცია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი

შეიქმნა ვებგვერდის ახალი ვერსიის მთავარი გვერდის და შიდა გვერდების დიზაინი. მიმდინარეობს ახალი ვებგვერდის CMS -ში აწყობა.

დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდი <http://taxdisputes.gov.ge/>

შეიქმნა დავების განხილვის საბჭოს ახალი ვებგვერდი.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტი 2023 წლის განმავლობაში ახორციელებდა ფინანსთა სამინისტროს, ხაზინის და დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდების ტექნიკურ მხარდაჭერას.

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის პროცესების ავტომატიზაციის სისტემა MACADPAS

<https://e.mofacademy.ge> <https://e.mofacademy.ge/cp>

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა ცოდნის განვითარებასა და პროფესიული უნარების განმტკიცებას, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობების გაზრდას.

ვებ რესურსების მართვის დეპარტამენტში გასულ წელს შეიქმნა სასწავლო-საგანმანათლებლო, კონკურსების (ტესტირების) წარმოებისა და ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციის სისტემა (MACADPAS), რომლის საშუალებით მოხდება სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ერთი სისტემის ფარგლებში ავტომატიზაცია.

2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა სისტემაში გამოვლენილი ბაგების აღმოფხვრა და არსებული ფუნქციონალის განახლება შემდეგ მოდულებში:

აპლიკანტის რეგისტრაციის მოდული;

მართვის პანელში როლების მიხედვით დაშვების ფუნქციონალი;





ჯგუფის განრიგის გენერაციის მოდული;
სერტიფიკატის გენერირება.

2023 წლის მესამე კვარტალში სისტემას დაემატა:

ინტერესის გამოხატვის გვერდი;

ახალი რეპორტები;

განახლებული სერტიფიკატები.

2023 წლის მეოთხე კვარტალში ცვლილება შევიდა ინტერესის გამოხატვის და სერტიფიკატის გენერირების პროგრამულ კოდში, დაემატა ინტერესების რეპორტი.

მუდმივად ხორციელდება სისტემის მხარდაჭერა.

სისტემის ფარგლებში დარეგისტრირდა 4227 ახალი მომხმარებელი, შეიქმნა 421 ჯგუფი.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის ვებგვერდი <http://gedf.ge/>

შეიქმნა საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის ახალი ვებგვერდი. განხორციელდა კონტენტის იმპორტი ძველი ვებგვერდიდან ახალში.

ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების ვებგვერდი

შეიქმნა ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების ახალი ვებგვერდის დიზაინი.

მიმდინარეობს ვებგვერდის შექმნა დამტკიცებული დიზაინის მიხედვით.

